ქართველური ენათმეცნიერება

(სამაგისტრო პროგრამა)

სასწავლო კურსთა ანოტაციები

ყველა მოდულისათვის სავალდებულო კურსები

სახელისა და ზმნის კატეგორიების სისტემური ანალიზი

Analysis of the System of Noun and Verb Categories

კურსი მიზნად ისახავს ქართული ენის მორფოლოგიის, კერძოდ, ქართული სახელისა და ზმნის მორფოლოგიის საკვანძო საკითხების გაღრმავებულ დამუშავებას, განსახილველ საკითხებთან დაკავშირებული ქართული გრამატიკული ლიტერატურის კრიტიკულ ანალიზს და, საერთოდ, ლინგვისტური ანალიზის ლოგიკურად გამართული ჩვევების გამომუშავებას, ენის ლოგიკის, განვითარების შინაგანი კანონების ხედვის გამომუშავებას; ენობრივი ფაქტებისა და მოვლენების სისტემაში დანახვასა და შესწავლას; მორფოსინტაქსური მოვლენების ერთიანობაში დანახვას; სახელისა და ზმნის ძირითადი კატეგორიებისა და ბრუნებისა და უღლების სისტემის ისტორიული თვალსაზრისით (დიაქრონიაში) შესწავლას; ლინგვისტური ანალიზის ისტორიულ-შედარებითი და აღწერითი მეთოდების პრაქტიკულად დაუფლებას; ზმნის უღლებადი ფორმების კლასიფიკაციის პრინციპებში გარკვევას და არსებული თვალსაზრისების მიმართ კრიტიკულ მიდგომას; ქართული ზმნური მოდელებისა და უღლების ტიპების ანალიზს, ისეთი სპეციფიკური საკითხების გარკვევას, როგორებიცაა ზმნის პირიანობა და ვალენტობა, პირთა გამოხატვის სისტემა ქართულში და მის სპეციფიკასთან დაკავშირებული საკითხების შედარებითი ანალიზი; კურსის მიზანია ასევე გვარისა და ქცევის გრამატიკული კატეგორიების სადავო საკითხებში გარკვევა, ლინგვისტური ანალიზის ისტორიულ-შედარებითი და აღწერითი მეთოდების პრაქტიკულად დაუფლება და სხვ.

ქართული სამწერლობო ენის ისტორიული გრამატიკა

Historical Grammar of the Literary Georgian Language

კურსის მიზანს წარმოადგენს ენაში მიმდინარე ძირითადი ენობრივი მოვლენების სინქრონიული და დიაქრონიული აღწერა, კვალიფიკაცია და ქრონოლოგიზაცია, სალიტერატურო ენის ნორმებსა და ცოცხალ მეტყველებას შორის არსებული ურთიერთმიმართების დადგენა, სამწერლობო ქართულზე უცხო ენათა გავლენის შესწავლა, ძველ ქართულ გრამატიკულ სტრუქტურაში ბერძნული ელემენტის გამოვლენა (ნათარგმნ თუ ორიგინალურ ძეგლებში), ლიტერატურული სკოლებისა და მათი მთარგმნელობითი მეთოდების გაცნობა; მაგისტრანტებში დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება.

ენათა ინტერფერენციები

Interferences of Languages

კურსის მიზანია დაანახვოს მაგისტრანტებს ქართული ენის განთვითარების სარათი დიგლოსიისა და ლინგვაფრანკას არსებობის პირობებში.

ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა

Comparative Grammer of the Kartvelian (Georgian) Languages

კურსის მიზანია ნათლად უჩვენოს მსმენელებს ქართველური ენების (ქართულის, კოლხურის ანუ მეგრულ-ლაზურის და სვანურის) საერთო წარმომავლობა და ნათესაური კავშირი. საერთო-ქართველური ფუძე-ენის სტრუქტურული ანალიზი საშუალებას იძლევა უფრო ღრმად ჩავიხედოთ ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულში.

ბუნებრივ ენათა დამუშავება

Processing Natural Languages

კურსის მიზანია მაგისტრანტმა შეიძინოს თეორიული ცოდნა ბუნებრივ ენათა დამუშავების შესახებ, გაეცნოს ქართული ენის კომპიუტერული დამუშავების კონკრეტულ პრობლემებს, მათი გადაწყვეტის ძირითად მეთოდებსა და მიმართულებებს; ამასთან, სემინარულ მეცადინეობებზე უშუალოდ იმუშაოს ამ პროგრამებით და შეიძინოს შესაბამისი ჩვევები.

ენა და კულტურა

(ქართული ენის კულტურულ-ანთროპოლოგიური ასპექტები)

Language and Culture (Cultural-Anthropological Aspects of the Georgian Language)

“ენა და კულტურის (ქართული ენის კულტურულ-ანთროპოლოგიური ასპექტების)” კურსის ამოცანაა მსმენელმა მიიღოს სათანადო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებენ სხვადასხვა (სოციალური, პოლიტიკური, ისტორიული, ყოფითი, პროფესიული და სხვ.) ფაქტორები მეტყველებაზე. მასში ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების მონაცემების მიხედვით განხილულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ენობრივი ეთიკეტი, თავაზიანობის ფორმები, ბილინგვიზმი, მშობლიური და მეორე ენის დაუფლების საკითხები, ენისა და ისტორიის ერთიერთობა, ენა და გენდერი, სარიტუალო-საწესჩვეულებო ენა, ენა და პოლიტიკა და ა.შ.

I მოდულის (ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენა) სავალდებულო კურსები

პალეოგრაფია და კოდიკოლოგია

Paleography and Codicology

კურსის მიზანია მაგისტრანტებს ღრმად და საფუძვლიანად შეასწავლოს პალეოგრაფიისა და კოდიკოლოგიის თეორიული და პრაქტიკული საკითხები და მისცეს მათ დამწერლობათმცოდნეობისა და ხელნაწერმცოდნეობის დარგში სისტემური ცოდნა, რაც საშუალებას მისცემს მაგისტრანტებს გააცნობიერონ პალეოგრაფიისა და კოდიკოლოგიის ცალკეული პრობლემები და შეიმუშავონ ახალი იდეები მათს გადასჭრელად.

პრაქტიკულ ასპექტში კურსის მიზანია, მაგისტრანტები სრულყოფილად დაეუფლონ ქართული დამწერლობის ძველ სახეობებს (ასომთავრული, ნუსხური და ადრეული მხედრული), შეიძინონ ქართული ანბანის ძველი სახეობებით დაწერილი ნებისმიერი წერილობითი ძეგლების წაკითხვის, გაგებისა და გაანალიზების უნარი და ტექსტის გამოსაცემად მომზადებისთვის აუცილებელი პრაქტიკული ჩვევები.

ტექსტუალური კრიტიკის თეორია და პრაქტიკა

Theory and Practics of the Textual Criticizm

კურსის მიზანია გააცნოს მაგისტრანტებს ტექსტოლოგიის, როგორც მეცნიერების თეორიული ასპექტები (მის ისტორიას და თეორიებს ალექსანდრიული ფილოლოგიიდან მოყოლებული დღემდე) და რომელიმე ტექსტის გამოცემის მომზადების საფუძველზე პრაქტიკულად შეასწავლოს მათ ტექსტუალური კრიტიკის პრინციპები და მეთოდები.

ძველი ქართული ენის საკვანძო საკითხები

Basic Issues of the Old Georgian Language

სასწავლო კურსის მიზანია მაგისტრანტებს მისცეს ძველი ქართული ენის ფონეტიკის, მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური სისტემის, ლექსიკის, სტილის საკითხების ღრმა და სისიტემური ცოდნა; სიღრმისეულად გააცნობიერებინოს ძველი ქართული ენის საშუ-ალი (XI-XVIII სს.) და ახალი (XIX-XXI სს.) ქართულისგან განმასხვავებელი თავისებურებანი, რათა მაგისტრანტებმა შეძლონ ძველი ქართული ტექსტების წაკითხვა, სწორად გაგება და გაანალიზება და განუვითაარდეთ ძველი ქართული ტექსტების დამოუკიდებელი კვლევისათვის საჭირო უნარ-ჩვევები.

ქართული შესიტყვების სტრუქტურა-მექანიზმი
Structure and Mechanism of the Georgian Phrase

კურსი მიზნად ისახავს ქართული სახელისა და ზმნის სინტაქსური ურთიერთობის მექანიზმში გარკვევას: პირისა და ვალენტობის მიხედვით სუბორდინაციული და კოორდინაციული სქემების აგებას და ზმნის დიათეზების ჯგუფებში ჩასმას; ქართული ზმნისა და სახელის სინტაქსური ურთიერთობის არსებითი განსხვავებების ჩვენებას ინდოევროპული ენების შესიტყვების სინტაქსურ მექანიზმისაგან.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა
(ნორმა და ცვლილებები)

Modern Georgian Literary Language

(Changes and Norm)

♦თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკული წყობის განვითარებისა და ლექსიკური ცვლილებების ტენდენციების გააზრება;
♦ ქართული ენის გრამატიკის ცოდნის განმტკიცება-სრულყოფა და ენობრივი სისტემის გაცნობიერება;
♦ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების შემუშავების პრინციპების გაცნობა, მათი გააზრებული და შეგნებული დაუფლება;
♦ ცოცხალ ენობრივ ფაქტებზე დაკვირვებისა და ლოგიკური აზროვნების ჩვევების ათვისება;
♦ წერისა და მეტყველების კულტურის ამაღლება;
♦ ქართული ენის გრამატიკის ცოდნის განმტკიცება-სრულყოფა და მისი გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში;
♦ ტიპობრივ ორთოგრაფიულ და სტილისტიკურ შეცდომათა ანალიზის უნარის გამომუშავება ტექსტებსა და ცოცხალ მეტყველებაში;
♦ ფილოლოგის მომავალი საქმიანობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება: ტექსტების რედაქტირება, გრამატიკულ-ორთოგრაფიული დარღვევებისა და სტილისტური ხარვეზების გასწორება.

ენობრივ დონეთა შუალედური სისტემები

Intermediate Systems of Language Levels

კურსის მიზანია ენობრივ ერთეულთა გამოხატულების პლანის შინაარსის პლანთან მიმართების ანალიზი დიაქრონიულ და სინქრონიულ ჭრილში – ნულოვან და სხვა სახის ალომორფთა არსებობის მიზეზების გამოვლენა.

II მოდულის (ქართველური ენები და დიალექტები) სავალდებულო კურსები

კოლხურის ფონემატური სტრუქტურა

Phonemic Structure of the Kolkhian Language

ენის სტრუქტურის მთლიანობაში დანახვა, მისი როგორც ერთიანი სისტემის აღქმა ზოგჯერ ჭირს, ჭირს იმ მრავალმხრივი ენობრივი პროცესების ფონზე, სადაც თითქოს შეუძლებელია რაიმე კანონზომიერების, სისტემურობის რაიმე ნიშნის გამოვლენა, მაგრამ ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე დონე საშუალებას აძლევს ლინგვისტ-მკვლევარს თავი გაართვას ამ რთულ ამოცანას, რაც აუცილებლად გულისხმობს სტრუქტურულ კვლევას ენობრივი სისტემის სხვადასხვა დონეზე.

"ფონემისა" და "მორფემის" როგორც აბსტრაქტულ ელემენტთა ახლებურმა გაგებამ საშუალება მისცა ლინგვისტებს შეისწავლონ ენაში არსებული სხვადასხვა იერარქიული დონეები რეალურად არსებულ სტრუქტურებში. “ფონემა” და “მორფემა” როგორც ენის იერარქიული ერთეულები ქმნიან რეალურ ენობრივ სტრუქტურებს ენობრივი იერარქიის სხვადასხვა დონეზე, რომელთა ურთიერთმიმართება აყალიბებს ენას როგორც სისტემას მთლიანობაში, ენობრივი სისტემის ერთეულთა გამოყოფა და მათი ურთიერთმიმართების საკითხი როგორც ერთი იერარქიის, ისე სხვადასხვა იერარქიულ დონეზე ენათმეცნიერების ძირითად საკითხად იქცა. იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ცენტრი თბილისის სახელმწოფო უნივერსიტეტია. აქ ჩაეყარა საფუძველი ქართველოლოგიას და კავკასიოლოგიას. აქ აღიზარდნენ მსოფლიო ავტორიტეტის მქონე ქართველოლოგები და კავკასიოლოგები. მომავალი ლინგვისტი მკვლევარი _ ქართველოლოგი ეტაპობრივად და სისტემატურად უნდა სწავლობდეს ლინგვისტური ანალიზის პროცედურულ მხარეს ჯერ ბაკალავრიატის, ხოლო შემდეგ მაგისტრატურისათვის გათვალისწინებული პროგრამით. მაგისტრატურის კურსის _ “კოლხურის ფონემატური სტრუქტურა” სწავლების მიზანია ბგერის ანუ ფონემის ფუნქციონალური კვლევასა და ფონემათა ფუნქციონალურ სისტემატიზაციასათან დაკავშირებული პრობლემების განხილვა.

სვანურის ფონემატური სტრუქტურა

Phonemic Structure of the Svan Language

სვანური ენის ფონემატური სტრუქტურის კურსის დაუფლება მიზნად ისახავს სვანური ენის ღრმად შესწავლას, რათა მაგისტრანტმა შეძლოს აღნიშნული ენის მეცნიერული კვლევა, ან შეძენილი ცოდნა გამოიყენოს სხვა ქართველური ენების უფრო ღრმად შესწავლისათვის.

კოლხური ენის გრამატიკა

Grammar of the Kolkhian Language

კოლხური ენის გრამატიკის მიმოხილვითი კურსი მიზნად ისახავს მეგრულისა და ლაზურის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის, ასევე, მორფოსინტაქსის, საკითხების შესწავლას.

სვანური ენის მორფოსინტაქსი

Morpho-Syntax of the Svan Language

სვანური ენის შესწავლის მიზანია ერთ-ერთი ქართველური ენის – სვანურის – ლექსიკის, ფონემატური და გრამატიკული სტრუქტურის გაცნობა და გამოყენება ენათა ისტორიული-შედარებითი და სტრუქტურული ანალიზის პროცესში.

კოლხურის/სვანურის ლექსიკოლოგია

Lexikology of the Kolkhian/Svan Language

კოლხური ლექსიკოლოგიის კურსი მიზნად ისახავს მაგისტრანტებისათვის კოლხური ტექსტების ლექსიკოლოგიური ანალიზსა და ლექსიკონებზე მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

სვანური ლექსიკოლოგიის კურსის მიზნებსა და ამოცანებს კი წარმოადგენს ოთხივე დიალექტის ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლენტეხური, ლაშხური (ამასთან ერთად კოდორის ხეობის სვანურის) ლექსიკის მთლიანობაში გაცნობა და შესწავლა; სიტყვათწარმოების ფორმების, პრექართველური ენიდან მომდინარე არქაული ფორმების, სტრუქტურული მოდელების, ძირითადი ლექსიკური ბირთვის გაცნობა; ქართველური და ნასესხები ლექსიკის შესწავლა, აგრეთვე ონომასტიკის დარგები, ცალკეული ეტიმოლოგიათა ანალიზი, დარგობრივი ლექსიკა.

ენის ისტორია და დიალექტოლოგია

History of the Georgian Language and Dialectology

სასწავლო კურსის მიზანი არის სტუდენტს სრულყოფილი წარმდგენა შეუქმნას, ერთი მხრივ, იმის თაობაზე, რომ ენის ისტორიის გათვალისწინება აუცილებელია დიალექტების აღწერისას დიალექტებში მიმდინარე პროცესების ანალიზისას; მეორე მხრივ, იმის გასააზრებლად, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება დიალექტურ მონაცემებს ენის ისტორიის შესასწავლად.

III მოდულის (ქართული ენის პრაგმატიკა) სავალდებულო კურსები

ქართული სამეტყველო ეტიკეტი

Georgian Speech Etiquette

კურსის მიზანია მაგისტრანტებს გააცნოს:

♦ ადამიანის ვერბალური ქცევის სპეციფიკა ენის ფუნქციონირების სხვადასხვა სფეროში;
♦ სამეტყველო ეტიკეტის მნიშვნელობა ადამიანურ ყოფაში და ვერბალურ-არავერბალური საშუალებების საკომუნიკაციო ფუნქციები;
♦ თავაზიანობის გრამატიკულ-ლექსიკური ინდიკატორები ქართულ ზეპირს და წერითს მეტყველებაში;
♦ სამეტყველო ეტიკეტის სოციოლინგვისტური და პრაგმალინგვისტური ასპექტები;
♦ თავაზიანობის გამოხატვის განსხვავება სიტუაციის ოფიციალურობის ხარისხის მიხედვით (ოფიციალურ-საქმიან და შინაურულ საკომუნიკაციო რეგისტრებში, სამეცნიერო და პოლიტიკურ დისკურსში);
♦ სამეტყველო ეტიკეტის მნიშვნელობა კულტურათაშორის ურთიერთობასა და დიპლომატიაში.

მ ა ს მ ე დ ი ი ს ე ნ ა

Language of Mass-media

კურსის მიზანია მასობრივი ინფორმაციის სტრატეგიული და გამომსახველობითი მხარის, თანამედროვე მასმედიის ძირითადი ენობრივი ტენდენციებისა და მედიადისკურსის სტილისტიკის შესწავლა.

ქართული პროფესიული ენა და ტერმინოლოგია

Georgian Professional Language and Terminology

კურსი არის პრაქტიკული მიზანდასახულების ფილოლოგიური დისციპლინა, რომელიც ემსახურება საქართველოს სახელმწიფო ენის ცოდნის სრულყოფას ახალ, უმაღლეს საგანმანათლებლო ეტაპზე. კერძოდ, კურსის ძირითადი ამოცანაა ქართული სახელმწიფო ენის პრაგმატული ცოდნის განმტკიცება და გაღრმავება განათლების უმაღლეს საფეხურზე კონკრეტული პროფესიული მიმართულებების მოთხოვნათა შესაბამისად. ამ კურსის წარმოდგენილი ნაწილი, ქართული ფილოსოფიურ- თეოლოგიური ტერმინოლოგია, გამიზნულია ფილოლოგიისა და ფილოსოფიის მიმართულების სტუდენტებისათვის.

ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა

Functional Stylistics of the Georgian Language

კურსის მიზანია ქართველოლოგიის ერთ-ერთი აქტუალური დარგის თეორიული საფუძვლებისა და მეტაენის ათვისება. სტილისტიკურ-პრაგმატიკულ კვლევათა პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება.

დისკურსის ანალიზი

Analysis of Discourse

კურსის მიზანია თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში დისკურსის შესახებ არსებულ განსხვავებულ შეხედულებათა აღწერა (დისკურსის დეფინიციათა ანალიზი); დისკურსის ანალიზის მეთოდოლოგიის (დისკურს-ანალიზის) შესწავლა; ქართული დისკურსის ეროვნულ-სპეციფიკური და უნივერსალურ-კულტურული კომპონენტების გამოვლენა და კლასიფიკაცია.

ქართული ლინგვოკულტურული სივრცე

Georgian Lingvoculturological Space

კურსის მიზანია ქართული ენის შესწავლა ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით: ქართული კულტურული სივრცის აღწერა, ქართველი ერის სამეტყველო ქმედების, ენობრივი ცნობიერებისა და კომუნიკაციის თავისებურებების გამოვლენა.

IV მოდულის (ქართული, როგორც მეორე ენა) სავალდებულო კურსები

ბილინგვიზი და ენათა ფლობის ზოგადევროპული სტრატეგიები

Bilingualism and European Strategies of Reference for Language Competences

კურსი მაგისტრანტს შეასწავლის ბილინგვიზმის ძირითად საშუალებებსა და პრინციპებს. საქართველოში ბილინგვური განათლება პრიორიტეტულია, როგორც ეროვნულ უმცირესობათა შენარჩუნების პერსპექტივა. მაგისტრანტი ღრმად გაერკვევა ბილინგვიზმთან დაკავშირებულ საერთაშორისო ტერმნოლოგიასა და ზოგადევროპულ კომპეტენციებში.

ენათა ფლობის დონეთა ზოგადევროპული კომპეტენციები

European Frameworks of Reference for Language Competences

ქართული ენის ფლობის დონეების შეფასების სწავლება გათვალისწინებულია მაგისტრატურის იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც აირჩევენ ქართველური ენათმეცნიერების მოდულს – ქართული, როგორც მეორე ენა. სწავლების განრიგი და მასალა ისეა აგებული, რომ სტუდენტი კარგად უნდა დაეუფლოს ენის ფლობის დონეთა ზოგადევროპული კომპეტენციების ინდიკატორებს და შეძლოს დასავლურ სტანდარტებზე დაყრდნობით, ააგოს ენის ფლობის დონეთა სისტემა ქართული ენის გრამატიკისა და ლექსიკის თავისებურებათა გათვალისწინებით.

ქართული ენის სწავლება მეორე ენის ფლობის თანამედროვე თეორიების მიხედვით

Theory of Teaching Georgian as a Second Language

კურსის მიზნებსა და ამოცანებს წარმოადგენს მეორე ენის დაუფლების თეორიული საკითხების გაცნობა. ქართულის როგორც მეორე (ან უცხო) ენის სწავლების თეორიული ასპექტების განხილვა; ქართული ენის ფონეტიკის, გრამატიკისა და ლექსიკოლოგიის თავისებურებათა წარმოჩენა მეორე ენის სწავლების თეორიათა მიხედვით.

ქართულის, როგორც მეორე ენის ენის ფლობის დონის შეფასება

Assessment of Reference Levels of Georgian as a second Language Competences

ქართული ენის ფლობის დონის შეფასების სწავლება გათვალისწინებულია მაგისტრატურის იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც აირჩევენ ქართველური ენათმეცნიერების მოდულს– ქართული, როგორც მეორე ენა. სწავლების განრიგი და მასალა ისეა აგებული, რომ სტუდენტებს კურსის დასრულების შემდეგ ეცოდინებათ შეფასების არსი და მიზნები, ფორმები და ტიპები, ქართული ენის ფლობის დონეები, თვითშეფასება, თვითშეფასების დესკრიპტორების შედგენა, გაკვეთილის დაგეგმვა და სწორად შეფასება.

ქართულის, როგორც მეორე ენის ფლობის ლინგვისტური კომპეტენციები

Linguistic Competences Georgian as a Second Language

ქართული ენის გრამატიკის სხვადასხვა საბაკალავრო კურსის მოსმენის შედეგად მაგისტრანტი ფლობს გარკვეულ საბაზისო ცოდნას, რომლის საფუძველზეც ის შეძლებს ქართულის, როგორც მეორე ენის ფლობის ლინგვისტური კომპეტენციების საკითხებში გარკვევას. შეისწავლის ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების საკითხებთან დაკავშირებულ თანამედროვე თეორიებს და შეძლებს თავისი ცოდნის რეალიზაციას ტრადიციული და თანამედროვე მეთოდების შესწავლისა და გააზრების საფუძველზე.

ქართულის, როგორც მეორე ენის, ფლობის პრაგმატული და სოციოლინგვისტური კომპეტენციები

Pragmatic and Sociolinguistic competences of Knowledge of Georgian, as a second language

მაგისტრანტები შეისწავლიან ბილინგვიზმის, მეორე ენის დაუფლების თანამედროვე თეორიებს; გაეცნობიან მეორე ენის დაუფლებისათვის აუცილებელ პრაგმატულ და სოციოლინგვისტურ

კომპეტენციებს, მათი ათვისების ძირითად ხერხებსა და საშუალებებს. ასევე გაიაზრებენ ლინგვოპრაგმატიკისა და სოფიოლინგვისტიკის მიმართებას ლინგვისტიკის სხვადასხვა დარგებთან, შეისწავლიან სხვადასხვა საკითხებს, დამოუკიდებლად გააანალიზებენ სხვადასხვა ტიპის ტექსტსა და სამეტყველო სიტუაციას, მოლაპარაკის კომუნიკაციურ მოთხოვნებსა და პრაგმატული რეალიზაციის პირობებს.
პრაქტიკული სავარჯიშოებით მაგისტრანტები განიმტკიცებენ მიღებულ ცოდნას.
მიღებული ცოდნის შედეგად მაგისტრანტი შეძლებს ნებისმიერი ტიპის ტექსტისა და სამეტყველო სიტუაციის პრაგმატულ ანალიზს, მისთვის ნაცნობი ნებისმიერი ენის პრაგმატული და სემანტიკური ასპექტების გამოყოფას, გაანალიზებას, ქართული ენის სისტემასთან შედარებას, მეორე ენის დაუფლებისათვის აუცილებელი სხვადასხვა კომპეტენციის გააზრებასა და შედარებას.

არჩევითი სასწავლო კურსები

ძველი ქართული თარგმანის ენობრივი სტილი:
I. ძველი აღთქმის ქართული თარგმანის ენობრივი სტილი და თარგმანის ტექნიკა
1. Language Style of the old Georgian Translations

I. Language Style and Technics of Translation of Old Georgian Testament

სასწავლო კურსის მიზანია წმინდა წერილის ქართული თარგმანის ენისა და სტილის, როგორც მწიგნობული ენის საფუძველისა და თარგმანის ტექნიკის საკითხების შესწავლა, აგრეთვე – ტექსტოლოგიურ და ლინგვისტური კომპარატივისტიკის კვლევის მეთოდების აპრობაცია.

ძველი ქართული თარგმანის ენობრივი სტილი
II. ელინოფილური მიმართულების თარგმანების ენობრივი სტილი (შავი მთა-გელათი)

Language Style of the old Georgian Translations

II. Language Style of Ellynofil Translation of Old Georgian Testament (Black Mountain and Gelati)

კურსი მიზნად ისახავს პრაქტიკული, ტექსტოლოგიური მუშაობის გზით გააცნოს სტუდენტებს გელათის სკოლის სააზროვნო ინტერესები, ლიტერატურული მიმართულება და მთარგმნელობითი მეთოდი: ამ სკოლის ღვაწლი ქართული მეცნიერული, ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების საქმეში. წინამდებარე კურსი საშუალებას მისცემს სტუდენტებს უშუალოდ, პირველწყაროების მიხედვით შეისწავლონ ძველი ქართული თარგმანის განვითარების ეტაპები და არა მხოლოდ სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით იქონიონ წარმოდგენა ამ ეპოქის მთარგმნელებსა და ლიტერატურილ პროცესებზე, არამედ კონკრეტული მასალის დამუშავების გზით უშუალოდ იმუშაონ ძველ ქართულ თარგმანებზე, შეისწავლონ ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგია და, საზოგადოდ, ძველ სამწიგნობრო სკოლებში დამუშავებული ტერმინშემოქმედების პრინციპები, დაეუფლონ

ტექსტოლოგიური ანალიზისა და თარგმანის პრინციპებს, შეისწავლონ ხელნაწერთა გამოცემის საქმე.… ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ასევე, ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათის ტექსტების პროფესიონალი მთარგმნელების აღზრდისა და ჩამოყალიბების საქმეს.

მხატვრული ტექსტის ენობრივი ფენომენი

Language Phenomena of Artistic Text

კურსის მიზანია მაგისტრანტთა ყურადღების მიპყრობა მხატვრულ ტექსტზე არა როგორც მხოლოდ ლიტერატურულ ნაწარმოებზე, არამედ როგორც სიტყვიერი ხელოვნების ნიმუშზე, ენის ფენომენის პროდუქტზე, რათა კურსის მსმენელმა ენათმეცნიერეულ სისტემურ ცოდნასთან ერტად სრულყოფილად შეისწავლოს ქართული ენის ემფატიკური ფუქნცია და შეძლოს სიტყვახელოვნების ნებისმიერი ნიმუშის ანალიზი ფორმულით: ინფორმაცია+ემოციური ზემოქმედება.

ტექსტუალური კრიტიკის თეორია და პრაქტიკა 2.

Theory and Practics of the Textual Criticizm 2

კურსის მიზანია ტექსტოლოგიის, როგორც მეცნიერების თეორიული ასპექტების ცოდნის საფუძველზე პრაქტიკულად შეასწავლოს მაგისტრანტებს ტექსტუალური კრიტიკის პრინციპები და მეთოდები.

არეალური დიალექტოლოგია

Areal Dialectology

კურსი გულისხმობს მაგისტრანტთა საბაზისო ცოდნის გაღრმავებას ქართულ დიალექტოლოგიაში და XX საუკუნეში საქართველოში მიგრაციული პროცესების თანამდევი ლინგვისტური პრობლემების განხილვას. კურსის ფარგლებში დიდი ყურადღება დაეთმობა დიალექტური ტექსტის, როგორც ეროვნული კულტურული მეხსიერების ნაწილის კვლევას, მისი ინტერდისციპლინარული მნიშვნელობის გააზრებას. იგულისხმება ენათა კონტაქტების ძირითადი პრობლემატიკის შესწავლაც. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა უცხოენოვან გარემოსთან მოკონტაქტე დიალექტების პრობლემებს (მესხური, ფერეიდნული, ინგილოური, “ჩვენებურების ქართული”). კურსი მოიცავს კოდების შერევის, კოდების ცვლის, კოდების გადართვის თანამედროვე თეორიების შესწავლას ქართული “დიალექტური კუნძულებისა” და D”მოსაზღვრე” დიალექტების მაგალითზე. განხილული იქნება დიალექტის, როგორც ჯგუფური და პერსონალური იდენტობის ერთ-ერთი მახასიათებლის საკითხი.

აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტები

Eastern Mountain Dialects

კურსის მიზანია აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტების ენობრივ დონეთა (ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სინტაქსური) ანალიზი და ლექსიკური სტრუქტურის შესწავლა.

ს ე მ ი ო ტ ი კ ა

Semiotics

თანამედროვე ენათმეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური მიმართულების თეორიული საფუძ-ვლებისა და მეტაენის გაცნობა. დისციპლინათშორისი კვლევის პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება.

ქართული ენის გრამატიკის შესწავლის აქტუალური საკითხები

Topical Issues of the Georgian Language

კურსის მიზანია უფრო ღრმად და საფუძვლიანად ასწავლოს სტუდენტს ქართული ენის გრამატიკის საკვანძო საკითხები და ამ საკითხებთან დაკავშირებული სხვადასხვა მეცნიერის მოსაზრება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ზმნის უღლების საკითხებს, წინადადებების კონსტრუქციებს როგორც მარტივ, ასევე შერწყმულ წინადადებებსა და რთულ (პარატაქსულ და ჰიპოტაქსურ) კონსტრუქციებს. ენის შუალედურ დონეებს, მათს მნიშვნელობას ზოგიერთი მოვლენის სრულყოფილი ახსნისათვის.

ენა და მწერალი

Language and Writer

სასწავლო კურსის მიზანია მაგისტრანტს სრულყოფილი წარმოდგენა შეუქმნას იმის თაობაზე, თუ რა არის ენა მწერლისათვის; როგორ ხედავს და აღიქვამს მწერალი ენობრივ მოვლენებს; როგორ ესმის მწერალს ენის როლი შემოქმედებით პროცესში; გაიაზროს ენობრივი მასალა, როგორც ბალავარი მწერლობისა და როგორც მკითხველთან მისასვლელი ერთადერთი საშუალება.

ქართველური ონომასტიკა

Kartvelian Onomastics

"ქართველური ონომასტიკის" კურსის მიზანი მრავალასპექტიანია:

ა) ონომასტიკის ძირითადი ტერმინებისა და დებულებების გამეორება-განმტკიცება;

ბ) ქართველური ტომებისა და ენების ისტორიისა და თანამედროვე მდგომარეობის გულდასმით გაცნობა-შესწავლა.

გ) ქვეყნის წარსულის, ხალხის ეთნოგრაფიული და რელიგიური სამყაროს, ენობრივი მსოფლხედვის იმ მონაცემების გააზრება, რაც დაუნჯებულია ქართველურ საკუთარ სახელებში;

დ) ქართველური ონომასტიკის მონაცემების საფუძველზე ქართველურ ენათა სტრუქტურის უფრო ღრმად და საფუძვლიანად დაუფლება;

ე) ონომასტიკური მასალის მოპოვებისა და კვლევა-ძიების უნარ-ჩვევების გამომუშავება (განსაკუთრებით იმათთვის, ვინც ამ ასპექტით გადაწყვეტს სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობას).

ტექსტური კორპუსები და კორპუსული ტექნოლოგიებით ენობრივი მონაცემების დოკუმენტირება და კვლევა

Text Corpuses And Documentation And Investigation Of Linguistic Data With Corpus Technologies

კურსის მიზანია მსმენელებისთვის ენათა დოკუმენტირების თანამედროვე მეთოდების გაცნობა და ამ მეთოდებით მუშაობის ელემენტარული უნარების გამომუშავება. კურსის მსმენელები უნდა გახდნენ ახალი ტექნოლოგიებით შექმნილი ლინგვისტური ელექტრონული რესურსების არა მარტო ყველაზე აქტიური მომხმარებლები მომავალში, არამედ ამ რესურსების შექმნისა და სრულყოფის პროცესის აუცილებელი მონაწილენი. კურსი წარმოადგენს "ჰუმანიტარული ინფორმატიკის" (იგივე "ციფრული ჰუმანიტარიის") ერთ სეგმენტს. მსმენელები შეისწავლიან ენათა დოკუმენტირების ახალ ისტორიას ელექტრონული ტექსტური კოლექციების შექმნიდან მოყოლებული – დიდი კორპუსული მასივებით დამთავრებული. ზოგადი თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხების გარდა კურსი ითვალისწინებს ქართველური ენების დოკუმენტირების თანამედროვე მდგომარეობის გაცნობას, ქართული ეროვნული კორპუსის შექმნის პერსპექტივისა და დამუშავების სტადიაში მყოფი დიალექტური კორპუსის სტრუქტურირების პრინციპების შესწავლას.

ლინგვოკულტუროლოგია

Lingvoculturology

კურსის მიზანია ენისა და კულტურის, დისკურსისა და კულტურის ურთიერთქმედების როლის აღქმა სამყაროს შემეცნება-აღწერისას; მოცემულ კულტურულ ეპოქაში მოქმედ ცოცხალ კომუნიკაციურ პროცესთა შესწავლა ეთნიკურ მენტალიტეტთან მიმართებით; თანამედროვე ლინგვოკულტუროლოგიურ კონცეფციათა გაცნობა.

კომპიუტერული ლექსიკოგრაფია

Computational Lexicography

კურსის მიზანია მაგისტრანტი გაეცნოს კომპიურეტულ ლექსიკოგრა-ფიას, როგორც, ერთი მხრივ, კომპიუტერული ლინგვისტიკისა და მეორე მხრივ, გამოყენებითი ენათმეცნიერების დარგს, მის მეთოდებსა და მეტაენას. წარმოდგენა შეექმნას ბეჭდური და ელექტრონული ლექსიკონების მსგავსება-განსხვავებზე ფორმის, შინაარსისა და ფუნქციონირების თვალსაზრისით. ამასთან, შეიძინოს ლექსიკოგრაფიული მუშა-ობისათვის საჭირო ცოდნა; გაეცნოს კომპიუტერული ლექსიკოგრაფიის მიღწევებს საქართველოში; სადღეისო პრობლემებსა და მათი გადაწყვეტის ძირითად მეთოდებსა და მიმართულებებს; სემინარულ მეცადინეობებზე უშუალოდ გაეცნოს ამგვარ ლექსიკონებს და შეიძინოს ელექტრონული რესურსების გამოყენებისა და ლექსიკოგრაფიული სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო ჩვევები.